MES 9 20 0000907989

29/09/2020

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

1. **დავით მალაზონია -** შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **გიორგი გიგიბერია -** ა(ა)იპ - ფონდ საერთაშორისო განათლების ცენტრის პროგრამების მენეჯერი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **ნატალია შანიძე -** შპს „ათასწლეულის სკოლის“ მათემატიკის კათედრის ხელმძღვანელი, მათემატიკის მასწავლებელი - საბჭოს მდივანი;
4. **ქეთევან ნატროშვილი** - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე;
5. **მაკა მამფორია** - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ მასწავლებელი;
6. **ავთანდილ აბდუშელიშვილი -** შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ დირექტორი;
7. **კახაბერ ფარცვანია** - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი;
8. **არჩილ სუმბაძე** - შპს „ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლის - თბილისის“ აკადემიური დირექტორი, სამოქალაქო განათლების მასწავლებელი;
9. **ირმა ბარბაქაძე** - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი;

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი.
ნათია მჭედლიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპსსენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი
დირექტორი - ლუარა ნორაკიძე

შპსლედა
დირექტორი - თამილა თალაკვაძე
იურისტი - ნინო ტავლალაშვილი

შპს სკოლა ახალი თაობა
დირექტორი - ანა უსტიაშვილი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):

შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმი
ლევან ღურწკაია
თეა გაბელაია

შპს ლედა
ქეთევან ბოტკოველი
ეკატერინე ვეკუა

შპს სკოლა ახალი თაობა
რუსუდან თედორაძე
მაგდა ბარამიძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. ახალი კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდარდება ონლაინ რეჟიმში.
სხდომა ჩატარდა დისტანციურ რეჟიმში (Zoom - ის საშუალებით) 2020 წლის 15 სექტემბერს 16:00 საათზე. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს პროგრესი 010 - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი;
2. შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი;
3. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს ლედას ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს სკოლა ახალი თაობის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;

ამის შემდეგ მან მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იქნა წარდგენილი, ამიტომ დამტკიცდა წარმოდგენილი დღის წესრიგი.

1. შპს პროგრესი 010 - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელმა, ქალბატონმა თამარ შენგელიამ განმარტა, რომ შპს პროგრესი 010 - ის მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი ცენტრში, სადაც სკოლა აფიქსირებდა, რომ პირველი სექტემბრიდან წყვეტდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა პროგრესი 010 - ის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს პროგრესი 010 - ს (ს/კ 240392311) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

2. შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენელმა, ქალბატონმა თამარ შენგელიამ განმარტა, რომ შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის მიერ წარმოდგენილ იქნა წერილი ცენტრში, სადაც სკოლა აფიქსირებდა, რომ 20 ივლისიდან წყვეტდა საგანმანათლებლო საქმიანობას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“20 - ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის, შესაბამისად, შპს ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრს (ს/კ 404856875) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

3. შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის მონიტორინგის შედეგების განხილვა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინეს ექსპერტებმა, ლევან ღურწკაიამ და თეა გაბელაიამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

3.1. ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმში ვიზიტის შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის

განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 31/08/2020 წლის MES 3 20 0000745073 ბრძანება.
ექსპერტის განმატრებით, დაწესებულების მატერიალური რესურსი იყო სტანდარტის შესაბამისი. სკოლა იყო ახალი გარემონტებული. მან აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ წარადგინა 2020 წლის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამონაწერი, სადაც დასტურდებოდა, რომ სკოლა აღნიშნული ფართის მესაკუთრე იყო.
ექსპერტმა ისაუბრა იმ რეკომენდაციებზეც, რომელიც დაწესებულებას მიეცა ვიზიტის პერიოდში. მისი თქმით, სკოლის შენობის მეორე სართულზე განთავსებული იყო „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ“ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 09 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგიის) ლაბორატორიები, ფიზიკის, ქიმია და ბიოლოგიის ლაბორატორიას ეთმობოდა ერთი ოთახი, ქიმია-ბიოლოგიის ლაბორატორიაში დამონტაჟებული იყო ონკანით და გამწოვი. ექსპერტთა რეკომენდაცია წარმოადგენდა შემდეგს, რომ მომავალში სარემონტო სამუშაოების ჩატარების დროს, სასურველი იყო, სკოლის ადმინისტრაციას ქიმიის ლაბორატორიისთვის დაეთმო ერთი ოთახი და დაემონტაჟებინა სათანადო აღჭურვილობა.
ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა მიზანშეწონილად ჩათვალა დაწესებულების ადმინისტრაციისთვის მიეცა რეკომენდაცია სათადარიგო კიბის რეაბილიტაცის თაობაზე. მისი თქმით, სათადარიგო კიბე არ იყო უსაფრთხო მოსწავლეთათვის. ექსპერტის განცხადებით, სახელურებზე დამატებითი რიკულების დამონტაჟება აღმოფხვრიდა ზემოაღნიშნულ პრობლემას. ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის პერიოდში ეს ცვლილება განხორციელდა.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებთან დაკავშირებულ რეკომდაციას სკოლა გაითვალისწინებდა და განაცალკევებდა.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები. საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ და საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად არ ჩათვალეს მოცემული ხარვეზები ყოფილიყო შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სკოლის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 9

გადაწყვეტილება:
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს სენაკის კერძო სკოლა-ლიცეუმის (ს/კ 239897590) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.

4. შპს ლედას ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, საბჭოს სხდომაზე, წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და ეკატერინე ვეკუამ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.

4.1. ექსპერტის განცხადებით, საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N639605.
ექსპერტმა ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებას ხარვეზი არ დაუფიქსირდა.
4.2. ექსპერტის განცხადებით, მატერიალური რესურსების მიმართულებით, სკოლას მიეცა არაერთი რეკომენდაცია. ექპერტმა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს, წარუდგინა პრეზენტაცია, რომელიც სრულად ასახავდა სკოლის მატერიალურ რესურსებს (ფოტო-მასალა).
ექსპერტის განცხადებით, სკოლის შენობა მდებარეობდა ქ. ბათუმში, აღმაშენებელის ქ. N13-ში მდებარე ხუთსართულიანი შენობის მესამე სართულზე. მისი თქმით, შენობაში შესვლა შესაძლებელი იყო სამი კარით,თუმცა ყველა შესასვლელს, ასევე იყენებდა ის დაწესებულებებიც
    რომლებიცგანთავსებული იყო ამ შენობაში. შენობის პირველ3 სართულზე ფუნქციონირებდა 2საგანმანათლებლო დაწესებულება, კიევისევროპული უნივერსიტეტი და ბათუმისსასწავლო უნივერსიტეტი, მესამე სართულზეასვლა ცენტრალური შესასვლელიდანშესაძლებელი იყო ლიფტის მეშვეობით , ხოლომეორე შესასვლელის კიბეებზე დამაგრებული იყოპანდუსები. ექსპერტის განმარტებით, შენობის შესასვლელებში, ყველასართულის კიბის უჯრედებზე და ფოიეშიდამონტაჟებული იყო ვიდეო სათვალთვალოკამერები, რომლებიც სკოლაში განთავსებულმონიტორებზე კონტროლირდებოდა. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მესამე სართულზე სკოლის ტერიტორიაგამოყოფილი იყო კარით, რომელიც სასწავლოპროცესის დაწყების მომენტიდან იკეტებოდა.
ექსპერტმა ასევე განმარტა, რომ ფართი სკოლას აღებული ჰქონდა იჯარისხელშეკრულებით, რომლის თანახმადმოიჯარეს, ხელშეკრულებით, გადაეცემოდა ფართი800 კვ.მ. სასწავლო საქმიანობისგანხორციელების მიზნით, ხელშეკრულებათავდაპირველად დაიდო 2020 წლის 01ივლისამდე, ხოლო ამავე ხელშეკრულებისცვლილების თანახმად 6.1 მუხლისფორმულირება შეიცვლა და იჯარის ვადადგანისაზღვრა 2023 წლის 01 ივლისი.

ექსპერტი შეეხო სკოლაში არსებულ სველ წერტილებთან დაკავშირებულ ხარვეზსაც. მისი განმარტებით, ერთერთი სველი წერტილი ადაპტირებული იყო შშმ პირისთვის, რომელშიც დამაგრებული იყო სახელურები, თუმცა შესასვლელი კარი 63 სმ სტანდარტს არ აკმაყოფილებდა.
ექსპერტის განცხადებით, ვიზიტის პერიოდში სკოლის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებდა, თუმცა სკოლამ წარმოადგინა ერთჯერადი მომსახურების ხელშეკრულება, რომლის თანახმად შემსრულებელი იღებდა ვალდებულებას, რომ 27 აგვისტოსთვის დასრულდება სკოლის ვებ-გვერდის შექმნა/განახლება (გრაფიკული დიზაინის აწყობა, ვებ-გვერდის შაბლონის შექმნა, კონტენტის მართვის სისტემის დამუშავება, მონაცემთა ბაზის შექმნა, ვებ სერვისებზე გაშვება).
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ბატონმა გიორგი გიგიბერიამ, დასვა რამდენიმე კითხვა, კერძოდ: 1. იჯარის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, რატომ ჰქონდა დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული 2023 წლამდე, გამომდინარე იქიდან, რომ განიხილებოდა ავტორიცაზიის მინიჭების საკითხი, რომელიც სკოლას ეძლეოდა 6 წლის ვადით; 2. თუ განიხილავდა სკოლა ფართის ცვლილების საკითხს, გამომდინარე იქიდან, რომ ხუთსართულიანი შენობა, რომლის სართულები ქირავდებოდა, შესაძლებელი იყო ერთი თვის შემდეგ გაქირავებულიყო და გახსნილიყო მაგალითად ტოტალიზატორი, სიგარეტის საბითუმო საწყობი და ა.შ.;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა გიორგი გიგიბერიამ კატეგორიულად მიუღებლად მიიჩნია მესამე სართულზე სკოლის ფუნქციონირება.

დაწესებულების იურისტის, ნინო ტავლალაშვილის განცხადებით, შენობა-ნაგებობა, რომელშიც განთავსებული იყო სკოლა, წარმოადგენდა ტიპიურ საბჭოურ არქიტექტურას, შენობა იყო ყოფილი კვლევითი ინსტიტუტი, სადაც განთავსებული იყო საგანმანათლებლო დაწესებულებები.
დაწესებულების იურისტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა გადაწყვეტილი ფართის ცვლილება. მან განმარტა, თუ რატომ იყო ხელშეკრულების სამწლიანი ვადა და არა ექვსწლიანი. მისი თქმით, შეთანხმება, რომელიც შეიძლება დადებულიყო მოიჯარესა დამეიჯარეს შორის, გარკვეული ტიპის ვალდებულებას კისრულობდა, რომლის დარღვევის შემთხვევაში პირგასამტეხლო იყო საჭირო.
დაწესებულების იურისტის განცხადებით, ფართის მოძიება დაწყებული იყო, ასევე შექმნილი იყო კომისია, რომელიც ბათუმის არაცენტრალურ, არამედ პერიფერიულ ნაწილში ეძებდა კონკრეტულ ტერიტორიას, სადაც ააშენებდნენ, საერთშორისო სტანდარტების მქონე შენობას.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ბატონმა არჩილ სუმბაძემ აღნიშნა, რომ დროის ფაქტორიდან გამომდინარე იგი ვეღარ შეძლებდა დარჩენილი საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიღებას და მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, იქნებოდა თუ არა მოსწავლეთა გადაადგილება უსაფრთხო, მანამ სანამ მოსწავლეები მოხვდებოდნენ იმ ფართში, რომელშიც სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა.

17:30 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა არჩლ სუმბაძემ.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ქალბატონმა ქეთევან ნატროშვილმა, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს კითხვით, გარდა იმ საერთო შესასვლელისა, რომლითაც სარგებლობდა დაწესებულება, ჰქონდა თუ არა ამ შენობას სათადარიგო შესასვლელი, რომლითაც მხოლოდ სკოლა ისარგებლებდა.

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა უპასუხა, რომ შენობას ჰქონდა სამი შესასვლელი, მაგრამ არცერთი არ იყო დამოუკიდებელი.

დაწესებულების იურისტმა, ნინო ტავლალაშვილმა აღნიშნა, რომ გაითვალისწინეს ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაცია და ერთერთ შესასვლელში, სადაც იყო პანდუსები დამონტაჟებული, ამჟამინდელი მდგომარეობით მთლიანად იყო სკოლის განკარგულებაში.

დაწესებულების დირექტორის განცხადებით, ცენტრალური შესასვლელით სარგებლობა განაპირობა ადამიანთა მცირე რაოდენობამ, რომლებიც სარგებლობდნენ ზემოაღნიშნულით. მისი თქმით, მშობლებს კარებთან მოჰყავდათ მოსწავლეები და მათ ხვდებოდათ კოორდინატორი, რომელიც პასუხისმგებელი იყო მოსწავლეთა უსაფრთო გადაადგილებაზე, ვიდრე მოხვდებოდნენ ისინი მესამე სართულზე. დირექტორის განმარტებით, სკოლაში გაწერილი იყო კოორდინატორთა მორიგეობა კვირის ყველა სამუშაო დღეს.
დაწესებულების დირექტორმა განმარტა, რომ ყველა დაფიქსირებული შენიშვნა და ხარვეზი მათთვის მისაღები იყო და მათაც სურდათ ზემოაღნიშნულის მოწესრიგება.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრმა, ბატონმა ავთანდილ აბდუშელიშვილმა, მიმართა კითხვით დაწესებულების წარმომადგენლებს, ჰქონდა თუ არა სკოლას ეზო, სპორტული დარბაზი და გასახდელები (გოგონები/ვაჟები).

ექსპერტის განცხადებით, სკოლას ჰქონდა სპორტული დარბაზი, საჭირო ინვენტარით. ეზოსთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას ჰქონდა დიდი ეზო., თუმცა ვიზიტის პერიოდში მოუწესრიგებელი იყო. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ გასახდელები სკოლას არ ჰქონდა.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:48 საათზე.
საბჭოს სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა და გააცნო სკოლის ავტორიზაციის გაგრძელების შემთხვევაში ის დათქმები, რომლებიც უნდა შეესრულებინა სკოლას: 1. აუცილებელი იყო შეცვლილიყო საიჯარო ხელშეკრულება 6 წლის ვადით; 2. წარმოედგინა სკოლას სამოქმედო გეგმა, სადაც იქნებოდა გაწერილი ეტაპები, თუ როდის შეიცვლიდა ფართს; 3. სკოლის შიგნით არსებული სპორტული დარბაზის გასახდელების მოწესრიგება 4. გარე პერიმეტრის ტერიტორიის მოწესრიგება; 5. ვებ-გვერდის განახლება.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 150 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს ლედას შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპსლედას ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 150 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს ლედას (ს/კ 245391696) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 150 - ით.

ამასთან, საბჭოს მიერ დასახელებული რეკომენდაციების თაობაზე დაწესებულებას განესაზღვრა 60 კალენდარული დღე, ხარვეზების გამოსასწორებლა და ცენტრში ანგარიშის წარმოსადგენად.

5. შპს სკოლა ახალი თაობის მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ საკითხის განხილვა;
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დამსწრეებს, თანახმა იყვნენ თუ არა, რომ ოქმის შედგენის მიზნით განხორციელებულიყო სხდომის აუდიო ჩაწერა. დამსწრეთაგან წინააღმდეგი არავინ ყოფილა. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის შედგენისთანავე.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, რუსუდან თედორაძემ და მაგდა ბარამიძემ. მათ აღწერეს ვიზიტის შედეგები და დასკვნები სტანდარტების შესაბამისად.
5.1.ექსპერტის განცხადებით, სკოლაში ვიზიტის საფუძველს წარმოადგენდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება MES 8 20 0000726961.
ექსპერტის თქმით, სკოლა განთავსებული იყო 9-სართულიანი მრავალფუნქციური შენობის I და II სართულებზე.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალი კორონავირუსით (SARSCOV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციების მოქმედების პეროიდში, სკოლის სამოქმედო გეგმა (2020 წლის 24 აგვისტოს ბრძანება #132/2) ასევე, სკოლის მიერ განხორციელებული საინტერესო იდეის შესახებ, რომელსაც ჰქონდა როგორც უსაფრთხოების, ასევე სასწავლო დანიშნულება. მისი თქმით, დერეფანში დამაგრებული იყო საგზაო ნიშნები, დახაზული მინი ზებრაგადასასვლელები, ასევე, შუქნიშნის იმიტირებული მოდელიც, რომლებიც, ერთი მხრივ, შეახსენებდა მოსწავლეებს, როგორ გადაადგილებულიყვნენ უსაფრთხოდ დერეფანში და, მეორე მხრივ, ასწავლიდა მათ მოძრაობის წესებს.
ექსპერტმა ისაუბრა სკოლის სამედიცინო კაბინეტთან დაკავშირებითაც. მისი თქმით, სკოლაში შემუშავებული იყო პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმი, სკოლას ჰყავდა ექიმი, ფუნქციონირებდა პირველადი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო მედიკამენტებითა და შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო დახმარების ოთახი. ექსპერტის განმარტებით, სამედიცინო კაბინეტი განთავსებული იყო შენობის პირველ სართულზე, მაგრამ ოთახში არ იყო ბუნებრივი განათება და ღია სივრცეში ვენტილაციის საშუალება, აქედან გამომდინარე, ექპსერტთა ჯგუფმა ადნიმისტრაციას მისცა რჩევა, რომ სამედიცინო კაბინეტისთვის შეერჩიათ სათანადო პირობების მქონე ოთახი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა,. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 425 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან შპს სკოლა ახალი თაობისშესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებული იყო ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ახალი თაობისავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 425 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 8
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის შესახებ განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 28-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მეშვიდე პუნქტისა და 29-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს სკოლა ახალი თაობას(ს/კ 406242123), მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განესაზღვროს 425 მოსწავლით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შედეგად სხდომა 18:30 საათზე დახურულად გამოცხადდა.

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით

ზოგადი განათლების ავტორიზაციისა და
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შანიძე ნატალია